



ქონების დაზღვრვის პირობები

#PRO-001/25



თიბისი დაზღვევა
TBC INSURANCE

ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დაზღვევის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ ქვემოთ მოცემული მნიშვნელობები:



მფლობელი

სს „თიბისი დაზღვევა“, ანუ ჩვენ.



დაზღვევი

ფიზიკური პირი, რომელთანაც ფორმდება დაზღვევის ხელშეკრულება და რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი სადაზღვევო პრემიის გადახდაზე, ანუ თქვენ.



მოსარგებლე

პირი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება. I სექციის მიზნებისთვის მოსარგებლე არის დაზღვეული ქონების მესაკუთრე, ხოლო II სექციის მიზნებისთვის - დაზიანებული ქონების მესაკუთრე მესამე პირი.



მესაკუთრე

დაზღვეული ქონების მესაკუთრე.



სადაზღვევო თანხა/ ანაზღაურების ლიმიტი

სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა. ანაზღაურების ლიმიტი შესაბამისი სექციისთვის განისაზღვრება ცალ-ცალკე და მითითებულია სადაზღვევო პოლისში.



სადაზღვევო პერიოდი

სადაზღვევო პოლისში მითითებული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა არის ძალაში.



დაზღვეული ქონება

შიდა მოპირკეთება და შიგთავსი, რომელიც მდებარეობს დაზღვევის ტერიტორიაზე.



შიდა მოპირკეთება

კედლების, ქერის, იატაკის საფარი, ფანჯრები, კარები, ელექტრო, გაზის, გათბობის, წყლის (მათ შორის საკანალიზაციო) გაყვანილობები.



შიგთავსი

საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ავეჯი, კერძოდ წინამდებარე პირობების დანართი N1-ში განსაზღვრული ობიექტები.



**სადაზღვევო შემთხვევა**

დაზღვეული რისკ(ებ)ით გამოწვეული შემთხვევა.

**დაზღვეული რისკი**

დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული უეცარი და მოულოდნელი მოვლენა, რომლის დადგომამ შეიძლება გამოიწვიოს დაზღვეული ქონების ან მესამე პირთა ქონების დაზიანება ან განადგურება.

**დაზღვევის ტერიტორია**

სადაზღვევო პოლისში მითითებული მისამართი, სადაც მდებარეობს/განთავსებულია დაზღვეული ქონება. სადაზღვევო დაფარვა მოქმედებს მხოლოდ პოლისში მითითებულ დაზღვევის ტერიტორიაზე. დაზღვეული ქონების სხვა ტერიტორიაზე გადაადგილების დროს სადაზღვევო დაფარვა არ იმოქმედებს.

**ფრანშიზა**

პოლისში მითითებული თანხა, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი თავისუფალია სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისგან და რომელიც აკლდება ასანაზღაურებელ თანხას თითოეულ და ყოველ შემთხვევაზე.

**სადაზღვევო პრემია**

დაზღვევის საფასური, რომელიც დამზღვევმა უნდა გადაუხადოს მზღვეველს, სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული წესითა და ოდენობით.

**აღდგენის ღირებულება**

დაზღვეული ქონების დაზიანებამდე არსებული მდგომარეობის აღსადგენად საჭირო თანხა, რომელიც მოიცავს სარემონტო სამუშაოების (კერძოდ: სამშენებლო მასალის, მასალის ტრანსპორტირებისა და ხელობის ღირებულება), ასევე ნებისმიერ სხვა დანახარჯს, რომელიც აუცილებელია უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევამდე არსებული მდგომარეობის აღსადგენად და რომელიც განსაზღვრულია ამ პირობებით. აღდგენითი ღირებულება არ მოიცავს იმ დამატებითი დანახარჯების ანაზღაურებას, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული ქონების რაიმე სახის ცვლილებით ან გაუმჯობესებით. აღდგენის ღირებულებაში გათვალისწინებული იქნება სადაზღვევო შემთხვევის შედეგად გამოწვეული სამშენებლო ნარჩენების გატანის ხარჯები - არაუმეტეს ზარალის 10%-ის ოდენობით.



**ჩანაცვლების
ღირებულება**

დაზიანებული ან
განადგურებული
დაზღვეული ქონების
მსგავსი მახასიათებლების
მქონე ქონებით
ჩანაცვლების ღირებულება.

**მესამე პირი**

ფიზიკური ან იურიდიული
პირი, რომელიც არ
წარმოადგენს დამზღვევს,
მოსარგებლეს ან მათ
ოჯახის წევრს.

**ოჯახის წევრი**

დაზღვევის ტერიტორიაზე
მუდმივად მცხოვრები
ფიზიკური პირი, რომელიც
წარმოადგენს დამზღვევის
ან/და მოსარგებლის დედას,
მამას, მეუღლეს, დას, ძმას,
შვილს, გერს, ბებიას, ბაბუას,
შვილიშვილს,
შვილთაშვილს ან სხვა
ნებისმიერ ფიზიკურ პირს.

**დაქირავებული**

ფიზიკური ან იურიდიული
პირი, რომელსაც
დაქირავებული აქვს (რაც
დასტურდება შესაბამისი
მტკიცებულებით) დაზღვევის
ტერიტორია.

**მოცდის პერიოდი**

პერიოდი, რომლის
განმავლობაშიც,
მიუხედავად დაზღვეული
რისკის დადგომისა,
სადაზღვევო ანაზღაურება
არ გაიცემა. მოცდის
პერიოდი შეადგენს
დაზღვევის ხელშეკრულების
ძალაში შესვლიდან პირველ
14 (თოთხმეტი)
კალენდარულ დღეს.

**სადაზღვევო პოლისი**

მზღვეველის მიერ გაცემული
დაზღვევის
დამადასტურებელი
დოკუმენტი, რომელშიც
მითითებულია სადაზღვევო
დაფარვის დეტალები.
სადაზღვევო პოლისსა და
დაზღვევის პირობებს შორის
განსხვავებების
შემთხვევაში, უპირატესობა
ენიჭება სადაზღვევო
პოლისს.

**დაზღვევის****ხელშეკრულება**

წინამდებარე დაზღვევის
პირობების, გაცემული
სადაზღვევო პოლისის, მათი
დანართ(ებ)ისა და
განაცხად(ებ)ის (დამზღვევის
მიერ მზღვეველისთვის
წერილობითი ან
ელექტრონული ფორმით
მიწოდებული
ინფორმაცია/დოკუმენტაცია)
ერთობლიობა.



✓ 1. სადაზღვევო დაფარვა/საქცია

1.1. დაზღვევის პირობები მოიცავს შემდეგ სადაზღვევო დაფარვას/სექციებს:

სექცია I: ქონების დაზღვევა;

სექცია II: მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა.

1.2. თქვენ მიერ შეძენილი სადაზღვევო დაფარვა/დაზღვეული რისკები მითითებულია სადაზღვევო პოლისში.

✓ 2. საქცია I – ქონების დაზღვევა

2.1. დაზღვეული რისკები

2.1.1. ხანძარი, მეხის დაცემა, აფეთქება, კვამლით დაზიანება:

- **ხანძარი** - ცეცხლი, რომელიც წარმოიქმნა და ვრცელდება დამოუკიდებლად იმ ადგილის გარეთ, რომელიც განკუთვნილია ცეცხლის გასაჩაღებლად და შესანარჩუნებლად. წინამდებარე რისკი, ასევე ფარავს ელექტრო გაყვანილობის მწყობრიდან გამოსვლით წარმოქმნილი ხანძრით მიყენებულ ზიანს;
- **მეხის დაცემა** - ელექტრულ ნაპერწკლოვანი განმუხტვა, რა დროსაც დენი გადის დაზღვეულ ქონებაში და იწვევს ხანძარს. მეხის დაცემის შედეგად, ელექტრონული მოწყობილობის ან დანადგარის დაზიანება ხანძრის წარმოქმნის გარეშე ანაზღაურებას არ ექვემდებარება;
- **აფეთქება** - აირის ან ორთქლის წნევის ძალის უეცარი, მოულოდნელი და დამანგრეველი გამოვლინება;
- **კვამლით დაზიანება** - შიდა მოპირკეთებისა და შიგთავსის ფიზიკური გარეგანი დაზიანება, რომელიც გამოწვეულია ხანძრის შედეგად წარმოქმნილი კვამლით.

დაზღვევის ტერიტორიაზე არსებული **აივანი** დაზღვეულია მხოლოდ წინამდებარე პირობების 2.1.1. ქვეპუნქტით განსაზღვრულ რისკებზე, კერძოდ: ხანძარი, მეხის დაცემა, აფეთქება, კვამლით დაზიანება. აღნიშნული რისკების შედეგად გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევისას, ანაზღაურებას

ექვემდებარება აივნის მოპირკეთების (კერძოდ: კედლების, ჭერისა და იატაკის საფარი, ფანჯრები, კარები, ელექტრო, გაზის, გათბობის, წყალ გაყვანილობები) ღირებულება, სხვა სახის ზარალი ან ხარჯი ანაზღაურებას არ ექვემდებარება. ამ პირობების მიზნებისთვის, აივნად ითვლება დაზღვეული ტერიტორიის, შენობის ფასადის ის ნაწილი, რომელიც სრულად ან/და ნაწილობრივ ღიაა და შემოკავებულია მოაჯირით.

2.1.2. ქურდობა დაზღვევის ტერიტორიაზე მართლსაწინააღმდეგო შეღწევით, ძარცვა, ყაჩაღობა, მესამე პირის მიერ ჩადენილი ვანდალიზმი (დაზღვეული ქონების განზრახ დაზიანება ან განადგურება მესამე პირ(ებ)ის მიერ), რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტით.

2.1.3. სეტყვა;

წყალდიდობა - მიწის ზედაპირის დატბორვის შედეგად, რომელიც ჩვეულებრივ არ არის დაფარული წყლით, დაზღვევის ტერიტორიაზე წყლის გარედან შეღწევა. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ამ პირობების მიზნებისთვის, დატბორვა არ გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დაზღვეული ქონებისთვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია სადრენაჟო სისტემების არასწორი მართვით, საზოგადოებრივი წყლის მილების გასკდომით ან შენობის საძირკველში არსებული სადრენაჟო და საკანალიზაციო მილების მწყობრიდან გამოსვლით;

ძლიერი ქარი - ჰაერის მასების მოძრაობა 25 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარით.

2.1.4. დაზღვევის ტერიტორიაზე არსებული მილსადენების უეცარი და მოულოდნელი მწყობრიდან გამოსვლა.

2.1.5. საერთო სარგებლობაში არსებული წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო მილსადენების (მილები, რომელიც ემსახურება ერთზე მეტ ბინას და მდებარეობს შენობაში, არ მოიცავს შენობის საძირკველში არსებულ საკანალიზაციო, გამტარი/სასმელი, წყლის/გამწმენდ კვანძს) უეცარი და მოულოდნელი მწყობრიდან გამოსვლით დაზღვეული ქონების დაზიანება.

მაგალითი

თუ საერთო სარგებლობის საკანალიზაციო ან/და სასმელი წყლის მილი უეცრად გამოვიდა მწყობრიდან და მილსადენიდან გამოსული წყლით დაზიანდა დაზღვეული ქონება, ასეთი ზარალი დაექვემდებარება ანაზღაურებას, თუ სახეზე არ არის ამ პირობებით გათვალისწინებული რომელიმე საგამონაკლისო გარემოება.

თქვენ ვალდებული ხართ, წერილობითი სახით (მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ელ. ფოსტით) შეგვატყობინოთ მილსადენების შეკეთების

შესახებ. შეტყობინების მიღების შემდეგ, ჩვენ უფლებამოსილნი ვართ, გონივრულ ვადებში შევამოწმოთ შეკეთებული მილსადენების მდგომარეობა ან მოვითხოვოთ ფოტო/ვიდეო მასალა.

- 2.1.6. მეზობელი ფართიდან შემოსული/ჩამოსული წყლით დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება.
- 2.1.7. იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე აქირავებს დაზღვევის ტერიტორიას მესამე პირ(ებ)ზე და შესაბამისი ჩანაწერი გაკეთებულია სადაზღვევო პოლისში, წინამდებარე სექციით, დამატებით დაიფარება დამქირავებლის მიერ დაქირავებული ქონების დაზიანება.

2.2. **ქონების დაზღვევის | სექციით დაზღვევას არ ექვემდებარება:**

- 2.2.1. შემდეგი ტიპის უძრავი ქონება:
- ამორტიზებული, ავარიული შენობა-ნაგებობები;
 - ობიექტები, რომელთა ძირითად სამშენებლო მასალას წარმოადგენს სენდვიჩ-პანელები, ხე და ხის მასალა, თუნუქი, არამყარი/დროებითი კონსტრუქციები;
 - ბინები, სადაც ბოლო 3 (სამი) კალენდარული წლის განმავლობაში დაფიქსირებულია ზარალი (თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული);
 - ზღვის დონიდან 1 500 მეტრზე ზემოთ მდებარე ობიექტები, გარდა ბაკურიანსა და გუდაურში მდებარე ობიექტებისა (თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული);
 - ქონება, რომელიც არ გამოიყენება საცხოვრებელი მიზნით/დანიშნულებით.
- 2.2.2. იმ შემთხვევაში, თუ დაიზღვევა ისეთი ქონება, რომელიც არ ექვემდებარება დაზღვევას, ასეთი ქონება არ ჩაითვლება დაზღვეულად, მის სასარგებლოდ პრემიის გადახდის პირობებშიც კი, ხოლო გადახდილი პრემია უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.



2.3. გამოწვევები ქონების დაზღვევის | საქციისთვის:

არ ანაზღაურდება:

- 2.3.1. დაზღვეული ქონების დაკარგვა ან გაუჩინარება დაუდგენელ ვითარებაში, თუ ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ან ვანდალიზმის ფაქტი არ დასტურდება შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ოფიციალური საბუთით.
- 2.3.2. ზარალი, გამოწვეული დაზღვეულ ქონებაში სეტყვის შედეგით ღია ფანჯრებიდან, კარებიდან, ხვრელიდან (რომლებიც გაკეთებულია განზრახ ან წარმოქმნილია სიძველიდან გამომდინარე ან სამშენებლო დეფექტით).
- 2.3.3. სახელმწიფო მუნიციპალიტეტის სამსახურის/ორგანოს, ან/და მის დაქვემდებარებაში არსებული ნებისმიერი მესამე პირის მიერ სამუშაოების წარმოებისას წარმოქმნილი დეფექტით დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა.
- 2.3.4. აივანზე განთავსებული ავეჯისა და ტექნიკის დაზიანება.
- 2.3.5. მიწის დონის ქვემოთ მდებარე ობიექტების (სარდაფები, ნახევარსარდაფები) დაზიანება ან განადგურება წყალდიდობის შედეგად.
- 2.3.6. მილსადენების მოხმარების დადგენილი ნორმების დაუცველობით გამოწვეული ზიანი და ასევე ცვეთადი და ცვლადი ნაწილების შეცვლის ხარჯები.
- 2.3.7. უნებართვო მიშენებებისთვის მიყენებული ზიანით გამოწვეული ზარალი.
- 2.3.8. უნებართვო მიშენების ჩამონგრევით/დაზიანებით გამოწვეული ზარალი, რომელიც მიაღმა დაზღვეულ ობიექტს.
- 2.3.9. დამქირავებლის პირად საკუთრებაში არსებული ქონებისთვის მიყენებული ნებისმიერი ზიანი.

3. სექცია II – მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა

3.1. დაზღვეული რისკი:

- 3.1.1. მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევის სექციით დაზღვეულ რისკს წარმოადგენს დაზღვეული ქონების მესაკუთრეზე დაკისრებული სამოქალაქო პასუხისმგებლობა მესამე პირ(ებ)ის ქონებრივი ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული ქონების ფლობითა და სარგებლობით.
- 3.1.2. იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე აქირავებს დაზღვევის ტერიტორიას მესამე პირ(ებ)ზე და შესაბამისი ჩანაწერი გაკეთებულია სადაზღვევო პოლისში, მესაკუთრეზე დაკისრებული სამოქალაქო პასუხისმგებლობა დამქირავებლის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია დაზღვევის ტერიტორიაზე დამზღვევის მიერ დაზღვეული ქონების ფლობითა და სარგებლობით.

3.2. ამასთან, წინამდებარე დაზღვევის პირობებით, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- ქონებრივი ზიანი გამოწვეულია შემთხვევით, რომელსაც ადგილი ჰქონდა დაზღვევის ტერიტორიაზე, სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში;
- **ჩვენთვის** ანაზღაურების მოთხოვნა წარდგენილია სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში. ამასთან, თუ სადაზღვევო შემთხვევა მოხდა სადაზღვევო პერიოდის ბოლო კალენდარულ კვირაში, **თქვენ** დამატებით გეძლევათ 3 (სამი) დღიანი ვადა შესაბამისი შეტყობინების გასაკეთებლად;
- თუ მესაკუთრესა და მესამე პირს შორის ზიანთან დაკავშირებით მიმდინარეობს სამართლებრივი დავა, მესაკუთრის წინააღმდეგ სარჩელი შეტანილი უნდა იყოს საქართველოს სასამართლოში ან საქართველოში მოქმედ არბიტრაჟში. ამასთან, **ჩვენ** უფლებამოსილნი ვართ, წარმოვადგინოთ მესაკუთრის ინტერესები სასამართლო დავის დროს, თუმცა **ჩვენ** არ ვართ ვალდებული დავიცვათ მესაკუთრის ინტერესები ისეთი ქონებრივი ზიანისთვის, რომელთა დაფარვასაც არ მოიაზრებს წინამდებარე დაზღვევა.

3.3. **გამონაკლისები მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევის II სექციისთვის:**

არ ანაზღაურდება:

- 3.3.1. ზიანი, რომელიც მიადგა დაზღვეული ტერიტორიის მესაკუთრის საკუთრებაში არსებულ ქონებას, ასევე მის მიერ იჯარით აღებულ/დამქირავებულ ან ფაქტობრივად დაკავებულ ქონებას.
- 3.3.2. ზიანი, რომელიც მიადგა მესაკუთრის მიერ მიტოვებულ ან მესამე პირისთვის გადაცემულ უძრავ ქონებას, თუ ზარალი გამოწვეულია ასეთი ქონებით ან მისი ნაწილით.
- 3.3.3. ისეთი ქონების დაზიანება, რომელიც მიზარებული აქვს მესაკუთრეს (მიზარებული ქონება).
- 3.3.4. ზიანი, რომელიც მიადგა იმ პირის საკუთრებაში არსებულ ქონებას, რომელსაც სარგებლობის უფლებით აქვს აღებული დაზღვევის ტერიტორია.
- 3.3.5. ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირის ქონებას დამზღვევის/მესაკუთრის/მათი ოჯახის წევრების განზრახი ქმედების ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად.
- 3.3.6. ზიანი, რომელზე პასუხისმგებლობაც დამზღვევმა აიღო საკუთარ თავზე სასამართლოს დავისა და მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 3.3.7. მესამე პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ნებისმიერი ზიანი.
- 3.3.8. მორალური ზიანი.
- 3.3.9. პასუხისმგებლობა ნებისმიერი სახის ჯარიმაზე.
- 3.3.10. მიუღებელი შემოსავალი.
- 3.3.11. დამქირავებლის გარდაცვალება.
- 3.3.12. დამქირავებლის შრომისუნარიობა.

4. საერთო პირობები ყველა საქცილისთვის

4.1. მხარეთა უფლება-მოვალეობები სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

4.1.1. თქვენ ვალდებული ხართ:

- 4.1.1.1. ჩვენ მოგვაწოდოთ სრული და უტყუარი ინფორმაცია დასაზღვევი ქონების შესახებ, ასევე ნებისმიერი სხვა, ჩვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს რისკის ხარისხის შეფასებისა და შესაძლო ზარალის მოცულობის განსაზღვრისთვის.
- 4.1.1.2. ქონების დაზღვევის I სექციით სადაზღვევო შემთხვევისას, დაუყოვნებლივ, გონივრულ ვადაში, შეგვატყობინოთ სადაზღვევო შემთხვევის შესახებ, ჩვენ ცხელ ხაზზე - 2 42 22 22, ხოლო მესამე პირთა პასუხისმგებლობის დაზღვევის II სექციით სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, ასევე შეატყობინოთ შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს. ჩვენთან გაკეთებული შეტყობინება წერილობით უნდა გაფორმდეს ცხელ ხაზზე შემთხვევის დაფიქსირებიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.
- 4.1.1.3. დამქირავებლის მიერ დაზიანების აღმოჩენისთანავე, დაუყოვნებლივ, გონივრულ ვადაში, თქვენ ან/და დამქირავებელი დაგვიკავშირდეთ და შეგვატყობინოთ სადაზღვევო შემთხვევის შესახებ.
- 4.1.1.4. შეასრულოთ ჩვენი წარმომადგენლისგან მიღებული მითითებები დამდგარ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით.
- 4.1.1.5. გამოიძახოთ საპატრულო პოლიცია მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედების (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ვანდალიზმი) შემთხვევაში, ხოლო ხანძრის, აფეთქების, წყალდიდობის შემთხვევაში - მიმართოთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს (მათ შორის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, სახანძრო დეპარტამენტი, საავარიო სამსახური).
- 4.1.1.6. მიიღოთ ყველა გონივრული ზომა ზარალის შემცირების ან დაზღვეული ქონების გადარჩენის მიზნით. სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით თქვენ მიერ გასაწევი ყველა ხარჯი წინასწარ უნდა შეთანხმდეს ჩვენთან წერილობითი სახით, წინააღმდეგ შემთხვევაში ვიტოვებთ უფლებას უარი განვაცხადოთ ასეთი ხარჯების ანაზღაურებაზე.
- 4.1.1.7. შესაძლებლობის ფარგლებში, შეინარჩუნოთ დაზიანებული ქონება ჩვენი წარმომადგენლების მისვლამდე იმ სახით, როგორშიც ის აღმოჩენილ იქნა სადაზღვევო შემთხვევისას. ჩვენს წარმომადგენელს უნდა მიეცეს საშუალება დაათვალიეროს/დაასურათოს სადაზღვევო შემთხვევის ადგილი და დაზიანებული ქონება. ნებისმიერ დროს უზრუნველყოთ ჩვენი, ჩვენი

უფლებამოსილი წარმომადგენლის, **ჩვენ** მიერ დანიშნული ნებისმიერი ექსპერტისა და შემფასებლის მიერ დაზღვეული ქონების დათვალიერება.

- 4.1.1.8. ქონების დაზღვევის I სექციით, სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა, ხოლო მესამე პირთა პასუხისმგებლობის დაზღვევის II სექციით სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, წარგვიდგინოთ ქვემოთ (4.1.2. პუნქტი) ჩამოთვლილი დოკუმენტაცია.
- 4.1.1.9. სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების შემდეგ, წერილობითი სახით შეგვატყობინოთ დაზიანებული ქონების შეკეთების შესახებ და უზრუნველყოთ შეკეთებული ქონების ხელახალი დასურათება და ფოტო/ვიდეო მასალის **ჩვენთვის** მოწოდება. შეტყობინების მიღების შემდეგ, **ჩვენ** უფლებამოსილნი ვართ, გონივრულ ვადებში შევამოწმოთ შეკეთებული ქონების მდგომარეობა.
- 4.1.1.10. წინამდებარე მუხლის ვალდებულებებთან ერთად **თქვენ** ასევე ვალდებული ხართ უზრუნველყოთ დაზღვეული ქონების სათანადო მოვლა-პატრონობა. ასევე, გააცნოთ დამქირავებელს დაზღვევის პირობები, მათ შორის ამ პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

4.1.2. ნებისმიერი სადაზღვევო შემთხვევისას:

- 4.1.2.1. წერილობითი განცხადება სადაზღვევო შემთხვევის დეტალური აღწერით.
- 4.1.2.2. მოსარგებლის მიერ დაზღვევის ტერიტორიის კანონიერი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი.
- 4.1.2.3. მოსარგებლის პირადობის მოწმობის ასლი.
- 4.1.2.4. უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების (შსს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, მეტეოროლოგიური ცენტრი, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, სახანძრო სამსახური) ან კერძო უწყებების მიერ გაცემული დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება სადაზღვევო რისკის ხდომილების ფაქტი და მისი გამომწვევი მიზეზები.

4.1.3. მესამე პირთა პასუხისმგებლობის II სექციით დამდგარი სადაზღვევო შემთხვევისას, დამატებით:

- 4.1.3.1. დაზარალებული პირების იდენტიფიცირებისათვის აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები (დაზღვევის უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში).
- 4.1.3.2. სადაზღვევო შემთხვევის ადგილას გამოძახებული საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი შესაბამისი დოკუმენტი.

- 4.1.3.3. უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების (მსს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, მეტეოროლოგიური ცენტრი, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, სახანძრო სამსახური) ან კერძო უწყებების მიერ გაცემული დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება სადაზღვევო რისკის ხდომილების ფაქტი და მისი გამომწვევი მიზეზები.
- 4.1.3.4. შეტყობინება დაზარალებული მესამე პირის (პირების) მიერ პრეტენზიის წაყენების შესახებ;
- 4.1.3.5. თუ მოსარგებლის გარდაცვალების გამო, სადაზღვევო ანაზღაურებას იღებს სხვა პირი, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებას (სამკვიდრო მოწმობა) და რომელიც განსაზღვრავს მემკვიდრის წილს მამკვიდრებლის სამკვიდროში.
- 4.1.3.6. თუ მესაკუთრესა და დაზარალებულს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს მესაკუთრის პასუხისმგებლობას მესამე პირათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. ამასთან, ანაზღაურების გაცემის საფუძველი არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც მესაკუთრე საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე თავად ცნობს სარჩელს ან მის ნაწილს, მზღვეველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე.

4.2. **ჩვენ უფლებამოსილი ვართ:**

- 4.2.1 სადაზღვევო შემთხვევის დროს მოვითხოვთ **თქვენგან** წინამდებარე პირობებით დადგენილი საბუთების/დოკუმენტაციის წარმოდგენა, ხოლო საბუთების/დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, უარი ვთქვათ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.
- 4.2.2 გადავავადოთ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა, თუ დამზღვევის ან მოსარგებლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ.
- 4.2.3 თუ **ჩვენ** ავანაზღაურეთ ზარალი, რომელიც გამოწვეული იყო სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზღვეული ქონების სახურავის დაზიანებით, უფლებამოსილნი ვართ არ ავანაზღაუროთ ნებისმიერი მომდევნო ზარალი ან ზიანი, თუ უკვე ანაზღაურებული ზარალის შემდეგ არ მოხდა დაზიანებული სახურავის შეკეთება. **თქვენ** ვალდებული ხართ, წერილობითი სახით შეგვატყობინოთ სახურავის შეკეთების შესახებ და მოგვაწოდოთ შესაბამისი ფოტო/ვიდეო მასალა. შეტყობინების მიღების შემდეგ, **ჩვენ** უფლებამოსილნი ვართ, შევამოწმოთ შეკეთებული სახურავის მდგომარეობა.

4.2.4 თუ ჩვენ ავანაზღაურეთ ზარალი, რომელიც გამოწვეული იყო საერთო სარგებლობაში არსებული წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო მილსადენების მწყობრიდან გამოსვლით, უფლებამოსილნი ვართ არ ავანაზღაუროთ ნებისმიერი მომდევნო ზარალი ან ზიანი, თუ უკვე ანაზღაურებული ზარალის შემდეგ არ მოხდა დაზიანებული მილსადენის შეკეთება. **თქვენ** ვალდებული ხართ, წერილობითი სახით შეგვაცუობინოთ საერთო სარგებლობაში არსებული წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო მილსადენების შეკეთების შესახებ და მოგვაწოდოთ შესაბამისი ფოტო/ვიდეო მასალა. შეტყობინების მიღების შემდეგ, ჩვენ უფლებამოსილნი ვართ, შევამოწმოთ შეკეთებული მილსადენის მდგომარეობა.

4.2.5 თუ ჩვენ ავანაზღაურეთ დაზღვეულ ქონებაზე მიყენებული ზარალი, რომელიც გამოწვეული იყო მეზობლის აივნისა და შემოსული წყლით, უფლებამოსილნი ვართ არ ავანაზღაუროთ ნებისმიერი მომდევნო ზარალი ან ზიანი, თუ უკვე ანაზღაურებული ზარალის შემდეგ არ მოხდა დაზიანებული აივნის შეკეთება. **თქვენ** ვალდებული ხართ, წერილობითი სახით შეგვაცუობინოთ შეკეთების შესახებ და მოგვაწოდოთ შესაბამისი ფოტო/ვიდეო მასალა. შეტყობინების მიღების შემდეგ, ჩვენ უფლებამოსილნი ვართ, შევამოწმოთ შეკეთებული აივნის მდგომარეობა.

4.3. ჩვენ ვალდებული ვართ:

4.3.1. შევისწავლოთ სადაზღვევო შემთხვევის გარემოებები. **თქვენთან** შეთანხმებით, მივიღოთ გადაწყვეტილება სადაზღვევო ანაზღაურების ფორმასთან დაკავშირებით - დაზიანებული ქონების შეკეთების/აღდგენის ხარჯები გადარიცხოს პირდაპირ სარემონტო კომპანიის თუ უშუალოდ მოსარგებლის ანგარიშზე.



5. საერთო გამონაკლისები ყველა საქცეოსთვის

5.1. წინამდებარე პირობებით არ ანაზღაურდება ზიანი/ზარალი, რომელიც გამოვლინარაობს ან დაკავშირებულია შემდეგ მოვლენებთან:

5.1.1. ომი (გამოცხადებული და გამოუცხადებელი), შემოჭრა, ნებისმიერი სახის საომარი ქმედებები და მათი შედეგები, სამოქალაქო ომი, ამბოხება, სამოქალაქო მღელვარება, შეიარაღებული აჯანყება, რევოლუცია, ნებისმიერი აღიარებული ან არაღიარებული ხელისუფლების



შეიარაღებული ძალების თავდასხმა; სამხედრო ღონისძიებები; ამბოხი, ტერორისტების (მათთან დაკავშირებული პირების) ქმედებები; ასევე მათ ჩახშობაზე მიმართული ხელისუფლების ქმედებები, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ გამოცხადებული განსაკუთრებული, საგანგებო, სამხედრო მდგომარეობა, გაფიცვები.

- 5.1.2. ქონების კონფისკაცია, რეკვიზიცია, ექსპროპრიაცია, ნაციონალიზაცია, დაყადაღება, სამხედრო ან სამოქალაქო ხელისუფლების განკარგულებით/ბრძანებით დაზღვეული ქონების განადგურება, ჩამორთმევა ან დაზიანება.
- 5.1.3. ამორტიზაცია, ცვეთა, კოროზია, ეროზია, ჟანგვა, ნალექების დაგროვება, საკანალიზაციო მიწებში უცხო სხეულის გაჭედვა, დანესტიანება.
- 5.1.4. შინაური ცხოველების/ფრინველების, ქვეწარმავლების, მწერების, მღრღნელების ან სხვა მავნებლების მიერ გამოწვეული დაზიანება.
- 5.1.5. დაზიანება გამოწვეული ნარკოტიკული/ფსიქოტროპული/ალკოჰოლური ნივთიერებათა ზემოქმედების ქვეშ მყოფი დამზღვევის, მესაკუთრის ან მათი ოჯახის წევრის ქმედებით.
- 5.1.6. დამზღვევის, მესაკუთრის ან მათი ოჯახის წევრების ან/და დამქირავებლის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დამდგარი ზიანით წარმოშობილი ზარალი.
- 5.1.7. საყოფაცხოვრებო ტექნიკის დეფექტები (ქარხნული წუნი) ან მომწოდებლის მიერ გაცემული გარანტიით დაფარული ხარჯები.
- 5.1.8. პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანებით/განადგურებით გამოწვეული ზარალი, მათ შორის ინფორმაციის აღდგენის ხარჯები.
- 5.1.9. სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე არსებული და/ან დაფიქსირებული მოვლენ(ებ)ით გამოწვეული ზიანი (რომელიც ცნობილი უნდა ყოფილიყო დამზღვევისთვის).
- 5.1.10. დაზღვევის ტერიტორიაზე მიმდინარე სარემონტო/სამშენებლო/სამონტაჟო ან სხვა სამუშაოებით გამოწვეული ნებისმიერი სახის ზიანი.
- 5.1.11. სადაზღვევო პერიოდში გამოვლენილი დაზღვეული შენობის მშენებლობის, საინჟინრო ან სხვაგვარი დეფექტი.

მაგალითი

დაზღვეული ქონება დაზიანდა საცხოვრებელ ბინაში მილის არასწორად მონტაჟის გამო. თუ სპეციალისტის შემოწმების შედეგად გაირკვევა, რომ ზიანი გამოწვეული იყო მილის არასწორად მონტაჟის გამო, მაგალითად: მილს არ ჰქონდა შესაბამისი დახრილობა, რათა მომხდარიყო მასში გამავალი წყლის სათანადო წესით გადინება და ხდებოდა ამ მილში წყლის დაგროვება - სადაზღვევო პირობებით აღნიშნული ზარალი არ ანაზღაურდება.

- 5.1.12. დაზღვეული ქონების ნებისმიერი სახის შინაგანი მექანიკური დაზიანება და მწყობრიდან გამოსვლა, არაპირდაპირი ზარალი გამოწვეული დაზღვეული რისკების შედეგად.
- 5.1.13. ზიანის პროვოცირება, ინსცენირება ან გაყალბებული დოკუმენტების წარმოდგენა.
- 5.1.14. ზიანი, რომელიც დადგა დაზღვეული ქონების უწყვეტად 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტი ხნით მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის დროს.
- 5.1.15. ელექტრონული მოწყობილობების, მათ შორის გამათბობელი ავზების მწყობრიდან გამოსვლა, ელექტროენერგიის ცვალებადობის, ელექტრომაგნიტური იმპულსის შედეგად.
- 5.1.16. ღია სივრციდან/აივნიდან შემოსული წყლით გამოწვეული ნებისმიერი სახის ზიანი (გარდა წინამდებარე პირობების 4.2.5. ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა).
- 5.1.17. ქონება, რომელიც არ გამოიყენება საყოფაცხოვრებო მიზნით, მათ შორის: ავტოფარეხი, საცურაო აუზი, საცხოვრებელ სახლში მეზობლების საერთო სარგებლობაში მყოფი ქონება, სამეურნეო ნაგებობა ან ნებისმიერი ნაგებობა, რომელიც არ არის განკუთვნილი საცხოვრებლად.
- 5.1.18. დაზღვეული რისკებისაგან განსხვავებული რისკით გამოწვეული ზიანი.
- 5.1.19. მოცდის პერიოდში დამდგარი ზარალი

მაგალითი

დაზღვევის ხელშეკრულება გაფორმდა 1-ელ იანვარს, ხოლო 10 იანვარს დაზღვეული ქონება, სადაზღვევო რისკის შედეგად დაზიანდა. ვინაიდან, სადაზღვევო შემთხვევა მოხდა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღეში და არ დასრულებულა 14-დღიანი მოცდის პერიოდი, ზარალი არ ანაზღაურდება.

5.2. ჩვენ უფლებამოსილნი ვართ, არ გავცეთ სადაზღვევო ანაზღაურება თუ დაზღვევის/მისი წარმომადგენლის/მესაკუთრის ან მოსარგებლის მიერ დარღვეულია წინამდებარე პირობებით დადგენილი რომელიმე ვალდებულება.

5.3. **ასევე, არ ანაზღაურდება ქვემოთ ჩამოთვლილ უძრავ-
მოძრავ ქონებაზე მიყენებული ზიანით დაზღვარი
ზარალი:**

- 5.3.1. ნაღდი ფული, აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, ხელნაწერები, ფოტოსურათები, ნეგატივები, სქემები, ნახაზები და სხვა დოკუმენტები, ბუღალტრული, საქმიანი წიგნები და მასში არსებული ინფორმაცია.
- 5.3.2. მოდელები, მაკეტები, ნიმუშები, ყალიბები და მსგავსი.
- 5.3.3. ძვირფასი ლითონის ნაკეთობანი, ძვირფასი ქვები, ანტიკვარიატი, ნებისმიერი სახის კოლექცია და საკოლექციო ექსპონატი. ასევე, ნახატები, სურათები, სკულპტურები და სხვა ხელოვნების ნიმუშები.
- 5.3.4. ინფორმაციის მატარებლები, კომპიუტერული პროგრამები, ელექტრო ინფორმაციის დროებითი შენახვისა და გადატანის საშუალებები.
- 5.3.5. საბრძოლო მასალა და სარეწი იარაღები, ფეთქებადი ნივთიერებები.
- 5.3.6. დაზღვეული ქონების გარეთ მდებარე ელექტრო გადამცემი და გამანაწილებელი ხაზები.
- 5.3.7. ცხოველები, ფრინველები, ნარგავები, მარცვლოვანი კულტურები.
- 5.3.8. შენობის გარე ფასადზე დამონტაჟებული/განთავსებული ქონება (მათ შორის ტენტები), გარდა გათბობა-გაგრილების სისტემებისა.
- 5.3.9. კვების პროდუქტები.
- 5.3.10. ქონება, რომელიც მდებარეობს დაზღვევის ტერიტორიაზე, მაგრამ არ ეკუთვნის მესაკუთრეს (მათ შორის შესანახად მიბარებული ქონება).
- 5.3.11. უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ ავარიულად აღიარებულ შენობაში განთავსებული ქონება.
- 5.3.12. ცალკე მდგომი შენობა-ნაგებობები, რომლებიც არ გამოიყენება საყოფაცხოვრებო მიზნით და არ წარმოადგენს დაზღვეული ქონების ერთიანი კონსტრუქციის ნაწილს.

- 5.3.13. საცურო აუზი, მისი კონსტრუქციის, შემადგენელი ნაწილების/კომპონენტებისა და შიდა და გარე მოპირკეთების ჩათვლით.
- 5.3.14. მხატვრულად დამუშავებული მინები.

6. სადაზღვევო პრემია და მისი გადახდის წესი

- 6.1. თქვენ მიერ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ოდენობა და გადახდის გრაფიკი მითითებულია სადაზღვევო პოლისში.
- 6.2. თუ სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული პირველი ან ერთჯერადი შესატანის გადახდა არ მოხდა დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების თვის შემდეგი კალენდარული თვის პირველ რიცხვამდე, მზღვეველი მოახდენს დაზღვევის ხელშეკრულების ანულირებას საწყისი თარიღით, დამზღვევისთვის შეტყობინების გაგზავნის გარეშე. სადაზღვევო პრემიის მრავალჯერადი გადახდის შემთხვევაში, სადაზღვევო პოლისში მითითებული გადახდის გრაფიკის დარღვევის/ვადაგადაცილებისას (იგულისხმება სადაზღვევო პოლისში მითითებული გრაფიკით გათვალისწინებული ნებისმიერი გადახდა, გარდა პირველისა), დამზღვევს დამატებით აქვს ორკვირიანი ვადა გადასახდელად. ამასთან, თუ სადაზღვევო პრემია არ იქნება გადახდილი ამ 14 (თოთხმეტი) დღიან პერიოდში, 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ დამდგარი ზარალი არ ანაზღაურდება, ხოლო სადაზღვევო პოლისში მითითებული გადახდის თარიღის გადაცილებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის გასვლისთანავე (ოცდამეათე კალენდარული დღის 24:00 საათზე) - მზღვეველის მხრიდან ცალმხრივად შეწყდება დაზღვევის ხელშეკრულება/სადაზღვევო პოლისი.

7. სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლის წესი

7.1. ჩვენ მიერ ასანაზღაურებელი თანხა განისაზღვრება შემდეგი პრინციპების შესაბამისად:

- 7.1.1** დაზღვეული ქონების დაზიანების შემთხვევაში გაიცემა მის დაზიანებამდე არსებული მდგომარეობის აღსადგენად საჭირო თანხა, მაგრამ არაუმეტეს პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო ლიმიტისა/ქველიმიტისა.
- 7.1.2** ჩვენ უფლებამოსილნი ვართ, დაზიანებული ქონების სახეობისა და დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით, მივიღოთ გადაწყვეტილება თუ რომელი ღირებულებით ვიხელმძღვანელებთ ანაზღაურების გაცემისას - აღდგენითი თუ ჩანაცვლებითი.
- 7.1.3** ავეჯისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის დაზიანების/განადგურების შემთხვევაში, მზღვეველი დაეყრდნობა სადაზღვევო შემთხვევის მომენტისთვის ავეჯის/საყოფაცხოვრებო ტექნიკის მიმდინარე საბაზრო ღირებულებას. ამასთან, ანაზღაურება ერთეული საყოფაცხოვრებო ტექნიკის/ავეჯისთვის არ გადააჭარბებს წინამდებარე პირობების დანართ N1-ში მოცემულ ლიმიტებს.
- 7.1.4** თუ აღმოჩნდა, რომ დაზიანდა ან განადგურდა ისეთი საყოფაცხოვრებო ტექნიკა ან/და ავეჯი, რომლის ღირებულებაც აღემატება წინამდებარე პირობების დანართი N1 - ში მითითებული ერთეული ტექნიკის ან/და ავეჯის ლიმიტს, **თქვენ** უფლებამოსილი ხართ, წარმოგვიდგინოთ ასეთი დაზიანებული/განადგურებული ნივთის შეძენის დამადასტურებელი საბუთი და ქვითარი, ხოლო **ჩვენ** ვალდებული ვართ, გავცეთ ანაზღაურება ასეთი დაზიანებული ნივთის, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში, მისი საბაზრო ღირებულებისა და პოლისის ჯამური ლიმიტის გათვალისწინებით. თუ ასეთი ნივთის საბაზრო ღირებულება აღემატება პოლისის ჯამურ ლიმიტს, ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ ამ ლიმიტის ფარგლებში.
- 7.1.5** სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში **ჩვენ** მიერ ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა შემოიფარგლება შესაბამისი სექციისთვის განსაზღვრული სადაზღვევო თანხის/ანაზღაურების ჯამური ლიმიტით/ქველიმიტით.
- 7.1.6** თუ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში **ჩვენ** გავცემთ სადაზღვევო ანაზღაურებას, ჯამური სადაზღვევო ლიმიტი/შესაბამისი სექციის ქველიმიტი შემცირდება გადახდილი ანაზღაურების ოდენობით. სადაზღვევო ლიმიტი ითვლება შემცირებულად, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დღიდან.

7.1.7 ჩვენ მიერ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურება შემცირდება ფრანშიზის (ასეთი არსებობის შემთხვევაში) ოდენობით.

მაგალითი

სცენარი 1: სადაზღვევო შემთხვევის შედეგად, **ზარალის ოდენობამ** შეადგინა 1 500 ლარი, პოლისით განსაზღვრული **ფრანშიზა** შეადგენს: **ზარალის 5%, მინ. 150 ლარს**. ვინაიდან, **ზარალის 5%** არის 75 ლარი და არ კმაყოფილდება პოლისით განსაზღვრული **მინ. თანხა (150 ლარი)**, **ფრანშიზად** განისაზღვრება 150 ლარი. შესაბამისად, **ასანაზღაურებელი თანხა** შეადგენს 1 350 ლარს (1 500 ლარს (ზარალის ღირებულება) – 150 ლარი (ფრანშიზა)).

სცენარი 2: სადაზღვევო შემთხვევის შედეგად, **ზარალის ოდენობამ** შეადგინა 3 500 ლარი, პოლისით განსაზღვრული **ფრანშიზა** შეადგენს: **ზარალის 5%, მინ. 150 ლარს**. ვინაიდან, **ზარალის 5%** არის 175 ლარი და სცდება პოლისით განსაზღვრული **მინ. თანხას (150 ლარი)**, **ფრანშიზად** განისაზღვრება 175 ლარი. შესაბამისად, **ასანაზღაურებელი თანხა** შეადგენს 3 325 ლარს (3 500 ლარს (ზარალის ღირებულება) – 175 ლარი (ფრანშიზა)).

სცენარი 3: სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი **ზარალის ოდენობამ** შეადგინა 1 500 ლარი, პოლისით განსაზღვრული **ფრანშიზა** შეადგენს 150 ლარს. შესაბამისად, **ასანაზღაურებელი თანხა** შეადგენს 1 350 ლარს (1 500 ლარს (ზარალის ღირებულება) – 150 ლარი (ფრანშიზა)).

7.1.8 ჩვენ უფლებამოსილნი ვართ, გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურება შევამციროთ ჯამური პრემიის გადაუხდელი ნაწილის ოდენობით, ჩვენი შეხედულებისამებრ.

7.1.9 ანაზღაურების გაცემისას დავეყრდნობით ჩვენ მიერ შერჩეული დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ მომზადებულ დასკვნას სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევ მიზეზებთან, გარემოებებთან და დამდგარი ზარალის მოცულობასთან დაკავშირებით. თუ თქვენ არ ეთანხმებით ჩვენ მიერ შერჩეული დამოუკიდებელი შემფასებლის დასკვნას, სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევ მიზეზებს, გარემოებებსა და დამდგარი ზარალის ოდენობას შეაფასებს დამოუკიდებელი საექსპერტო დაწესებულება. ექსპერტიზასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს გაიღებს ექსპერტიზის დანიშვნის ინიციატორი მხარე, ხოლო თუ ექსპერტიზის დანიშვნა ორივე მხარის ინიციატივით, საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე,

ექსპერტიზასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი თანაბრად განაწილდება მხარეებს შორის.

- 7.1.10** მე-2 სექციის მიზნებისათვის **ჩვენ** გადავიხდით მხოლოდ იმ თანხას, რომლის გადახდის პასუხისმგებლობაც მესაკუთრეს დაეკისრება მესამე პირისთვის მიყენებული ქონებრივი ზიანისთვის, საქართველოს საერთო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე. ამასთან, **ჩვენ** უფლებამოსილნი ვართ, გავცეთ სადაზღვევო ანაზღაურება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, თუ წარმოდგენილი საბუთებით და შემთხვევის გარემოებებით დგინდება მესაკუთრის ცალსახა პასუხისმგებლობა მესამე პირისთვის მიყენებულ ზიანზე.

8. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვადები და წესი

- 8.1.** სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების დადგენისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრისათვის საჭირო საბუთების/დოკუმენტაციის სრულყოფილად მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში **ჩვენ** ვღებულობთ გადაწყვეტილებას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისა და მისი ოდენობის შესახებ.
- 8.2.** სადაზღვევო ანაზღაურებას გავცემთ სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტის ორივე მხარის მიერ ხელმოწერიდან ან დისტანციურად დარეგულირებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.
- 8.3.** სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორების გზით ლარის ვალუტაში.

9. სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტის გაფორმების წესი

- 9.1.** მოსარგებლის სურვილის შემთხვევაში, **ჩვენ** უფლებამოსილნი ვართ, დარეგულირების აქტი გავაფორმოთ ქვემოთ მითითებული ერთ-ერთი ფორმით:

- დარეგულირების აქტზე მოსარგებლის პირადი ხელმოწერით (სველი ხელმოწერა ან კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა) დადასტურების საფუძველზე;
- დარეგულირების აქტის ელექტრონული ფორმით დადასტურების საფუძველზე;
- სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის სატელეფონო საუბრის გზით დადასტურების საფუძველზე.

9.2. ზარალის დარეგულირების პროცესში, დამზღვევთან/მოსარგებლესთან კომუნიკაციისა და სხვადასხვა მომსახურების დისტანციურად გაწევისთვის ვიყენებთ **პრიორიტეტულ ტელეფონის ნომერს**. ვინახავთ ზარალის დარეგულირების პროცესში უფლებამოსილი თანამშრომლისა და დამზღვევის/მოსარგებლის სატელეფონო საუბრის აუდიო ჩანაწერ(ებ)ს/გამოგზავნილ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს.

10. დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის წესი

10.1. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედება შესაძლოა შეწყდეს:

- **თქვენი** ინიციატივით, ნებისმიერ დროს, დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმებაზე 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე **ჩვენთვის** წერილობითი შეტყობინების გამოგზავნის გზით.
- **ჩვენი** ინიციატივით, ნებისმიერ დროს, დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმებაზე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე **თქვენთვის** შეტყობინების გაგზავნის გზით.
- **ჩვენი** ინიციატივით, ნებისმიერ დროს, **თქვენთვის** დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმებაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით, თუ გამოვლინდა, რომ **თქვენ** მიერ **ჩვენთვის** მოწოდებული ინფორმაცია არაზუსტი, არასრული, ყალბი ან შეცდომაში შემყვანია.
- **ჩვენი** ინიციატივით, დაზღვეული ქონების გასხვისების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში, დაზღვევის

ხელშეკრულების გაუქმებაზე 1 (ერთი) თვით ადრე შეტყობინების გაგზავნის გზით.

10.2. ჩვენი ინიციატივით თქვენთვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე, თუ:

- ჩვენ მიერ შესაბამისი სადაზღვევო პოლისით ნაკისრი ვალდებულებები სრულადაა შესრულებული/ამოწურული სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ანაზღაურების ჯამური ლიმიტი. დაზღვეული ქონება აღარ არსებობს და ეს გამოწვეულია სადაზღვევო რისკისგან განსხვავებული, ნებისმიერი სხვა მიზეზით.
- სახეზეა დაზღვეული ქონების განადგურება, მიუხედავად იმისა, გავეცით თუ არა სადაზღვევო ანაზღაურება.
- სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული გადახდის გრაფიკის ვადაგადაცილება აჭარბებს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს.

10.3. დაზღვევის ხელშეკრულება ასევე შეწყდება:

- სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო პერიოდის დასრულებისას (გარდა იმ შემთხვევებისა, თუ პოლისი არ ექვემდებარება ავტომატურ განახლებას).
- ჩვენ შევწყვეტთ საქმიანობას კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
- ჩვენს შორის გაფორმებული წინასწარი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.4. თქვენ უფლება გაქვთ, ნებისმიერ დროს შეწყვიტოთ დაზღვევის ხელშეკრულება, რის შესახებაც წერილობით უნდა გვაცნობოთ ხელშეკრულების შეწყვეტამდე 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე. ასეთ შემთხვევაში:

- თუ დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტამდე არ მომხდარა სადაზღვევო შემთხვევა, რომელზეც გაიცა ან მიღებულია სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის გადაწყვეტილება, თქვენ ვალდებული ხართ, გადაიხადოთ შეწყვეტის მომენტისთვის გამოუმუშავებული სადაზღვევო პრემიის გადაუხდელი ნაწილი და გამოუმუშავებული პრემიის 10% პირგასამტეხლოს სახით. უკან დასაბრუნებელი პრემიის არსებობის

შემთხვევაში, **თქვენი** წერილობითი მომართვის საფუძველზე **ჩვენ** დაგიბრუნებთ გაუქმების თარიღისთვის გადახდილი პრემიის გამოუმუშავებელ ნაწილს, ჯამური პრემიიდან შეწყვეტის თარიღისთვის გამოუმუშავებელი ნაწილის 10%-ის გამოკლებით, რაც წარმოადგენს ვადამდე შეწყვეტის პირგასამტეხლოს.

- თუ დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მიმდინარე დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე **ჩვენ** გავეცით ან მივიღეთ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის გადაწყვეტილება ან შეწყვეტის მომენტისთვის მიმდინარეობს **თქვენი** ზარალის განხილვა, **თქვენ** ვალდებული ხართ, სრულად გადაიხადოთ პოლისით გათვალისწინებული ჯამური პრემია, ხოლო გადახდილი გამოუმუშავებელი პრემია უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. ამასთან, **ჩვენ** უფლებამოსილნი ვართ, გამოვქვითოთ მიმდინარე სადაზღვევო წლის შესაბამისი სადაზღვევო პრემიის გადაუხდელი ნაწილი **ჩვენ** მიერ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების თანხიდან.

მაგალითი

დაზღვევის ხელშეკრულება გაფორმდა 1 იანვარს 1 წლის ვადით და გაუქმდა 265 დღის თავზე. წლიური პრემია შეადგენს 730 ლარს, ხოლო გადახდილი პრემია – 500 ლარს.

- გამოუმუშავებული პრემია შეადგენს 530 ლარს, რომელიც გამოთვლილია შემდეგი სქემის მიხედვით:

730 ლარი (წლიური პრემია)

365 დღე
(დაზღვევის ხელშეკრულების
ხანგრძლივობა)

X

265 დღე

(დაზღვევის ხელშეკრულების
ძალაში ყოფნის პერიოდი)

- გამოუმუშავებული პრემია წარმოადგენს წლიური და გამოუმუშავებული პრემიების სხვაობას და შეადგენს 200 ლარს (730 (წლიური პრემია) – 530 (გამომუშავებული პრემია)).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **თქვენ** მიერ გადასახდელი პრემია შეადგენს 50 ლარს (530 (გამომუშავებული პრემია) – 500 (გადახდილი პრემია) + 200 (გამომუშავებული პრემია) x 10%).

10.5. სადაზღვევო ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადამდე **ჩვენი** ინიციატივით. ასეთ შემთხვევაში, **ჩვენ** შეგატყობინებთ სადაზღვევო

ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ წერილობით, ხელშეკრულების შეწყვეტამდე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე. წინასწარ გადახდილი პრემიის არსებობის შემთხვევაში, **თქვენ** უფლება გაქვთ მოითხოვოთ გადახდილი პრემიიდან გამოუმუშავებელი ნაწილის დაბრუნება. გადახდილი პრემიის გამოუმუშავებელი ნაწილი დაბრუნებას **არ ექვემდებარება**. დავალიანების არსებობის შემთხვევაში, **თქვენ** ვალდებული ხართ გადაიხადოთ გამოუმუშავებელი პრემიის გადაუხდელი ნაწილი.

- 10.6. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს იმ შემთხვევაშიც, თუ **თქვენ** არღვევთ ხელშეკრულების არსებით პირობებს ან მოქმედებთ საქართველოს კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ. დაზღვევის გაუქმებისას პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება.



11. ხელშეკრულების პირობების ცვლილება

- 11.1. სადაზღვევო პოლისისა და შესაბამისად სადაზღვევო პერიოდის განახლებისას **ჩვენ** უფლება გვაქვს ცალმხრივად შევცვალოთ ხელშეკრულების პირობები, მათ შორის დაზღვევის პირობები, წესები, ფრანშიზა და პრემია. აღნიშნულის თაობაზე, **ჩვენ** შეგატყობინებთ **თქვენ** ცვლილების ძალაში შესვლამდე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.
- 11.2. **თქვენ** უფლება გაქვთ, ზემოაღნიშნული 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, ნებისმიერ დროს წერილობით განაცხადოთ უარი ხელშეკრულების პირობების ასეთ ცვლილებაზე და შეწყვიტოთ ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულება შეწყდება მიმდინარე სადაზღვევო პერიოდის ამოწურვისთანავე.
- 11.3. თუ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში **თქვენ** არ განაცხადებთ უარს განახლებულ პირობებზე/არ შეწყვეტთ ხელშეკრულებას, ცვლილებები ჩაითვლება **თქვენ** მიერ მიღებულად და ძალაში შევა წერილობით შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან.





12. სადაზღვევო პერიოდი და მისი ავტომატური გაგრძელება

- 12.1. დაზღვევის ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და მოქმედების პერიოდი მითითებულია სადაზღვევო პოლისში.
- 12.2. დაზღვევის ხელშეკრულების ძალაში შესასვლელად, **თქვენ** ვალდებული ხართ, სრულად და დროულად გადაიხადოთ სადაზღვევო პრემიის ერთჯერადი ან პირველი ტრანში, სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისად. სადაზღვევო პოლისის ძალაში შესვლამდე, **ჩვენ** თავისუფალნი ვართ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისგან.
- 12.3. სადაზღვევო პოლისი და შესაბამისად სადაზღვევო პერიოდი ექვემდებარება იმავე პირობებით ყოველი მომდევნო 12 (თორმეტი) თვით ავტომატურ განახლებას, თუ სადაზღვევო პოლისზე მზღვეველთან გაცხადებული არ არის ზარალი ან შემთხვევა გაცხადდა, მაგრამ ზარალი არ ანაზღაურდა შემდეგი მიზეზით:
- შემთხვევა დაიხურა დამზღვევის ინიციატივით;
 - შემთხვევა არ წარმოადგენს დაზღვეულ რისკს;
 - ზარალი არ აღემატება ფრანშიზის ოდენობას.
- ასევე, პოლისი ექვემდებარება ავტომატურ განახლებას, თუ ანაზღაურებული ზარალის ოდენობა ტოლია ან ნაკლებია პოლისის ერთი წლის ჯამური პრემიისა, ამასთან უკანასკნელი 1 (ერთი) წლის განმავლობაში დაფიქსირებულია/გაცხადებულია მხოლოდ ერთი შემთხვევა/ზარალი.
- 12.4. თუ **ჩვენ** არ გვსურს სადაზღვევო პოლისისა და შესაბამისი სადაზღვევო პერიოდის ავტომატური განახლება, აღნიშნულის თაობაზე უნდა შეგატყობინოთ სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე. **ჩვენი** მხრიდან, აღნიშნული შეტყობინება გამოგეგზავნებათ სადაზღვევო პოლისში მითითებულ საკონტაქტო ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით.
- 12.5. თუ **თქვენ** არ გსურთ სადაზღვევო პოლისისა და შესაბამისი სადაზღვევო პერიოდის ავტომატური განახლება, აღნიშნულის თაობაზე უნდა შეგვატყობინოთ მიმდინარე სადაზღვევო პერიოდის ბოლო 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.



13. ორმაგი დაზღვევა

- 13.1. თქვენ ვალდებული ხართ, წერილობით შეგვაცუბინოთ სხვა სადაზღვევო კომპანიებთან იმავე სადაზღვევო დაფარვებით გაფორმებული დაზღვევის ყველა ხელშეკრულების შესახებ.
- 13.2. თუ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის დროს აღმოჩნდება, რომ დაზღვეული ქონება დაზღვეულია აგრეთვე სხვა სადაზღვევო პოლისით, ჩვენ უფლებამოსილნი ვართ, წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი პოლისის საფუძველზე, მოსარგებლეს ავუნაზღაუროთ ზარალი ჯამურ სადაზღვევო თანხაში თავისი წილის პროპორციულად.
- 13.3. ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში, მზღვევლები დამდგარ ზარალში მონაწილეობას მიიღებენ როგორც სოლიდარული მოვალეები.

14. სუბროგაცია

- 14.1. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ, გაცემული ანაზღაურების ფარგლებში, ზიანზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიმართ, მოთხოვნის უფლება გადმოდის ჩვენზე. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ქონების დაზიანება/განადგურება გამოწვეულია მეზობელი ფართიდან შემოსული წყლით, მეზობელი ფართიდან გადმოსული ხანძრით, კვამლით ან აფეთქებით, ჩვენ სუბროგაციის უფლებას გამოვიყენებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზარალზე პასუხისმგებელმა მესამე პირმა ზიანი გამოიწვია განზრახი ქმედებით.
- 14.2. დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია გადმოგვცეს ყველა ის დოკუმენტი და ინფორმაცია, რაც აუცილებელია ზიანზე პასუხისმგებელი მესამე პირ(ებ)ის, მათ შორის, დამქირავებლის მიმართ მოთხოვნის წაყენებისა და ამ უფლების აღსრულებისათვის.
- 14.3. დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია, მათი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობების ფარგლებში, ხელი შეგვიწყოს სუბროგაციის უფლების განხორციელებაში.
- 14.4. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი/მოსარგებლე უარს იტყვის ზიანზე პასუხისმგებელი მესამე პირ(ებ)ის, მათ შორის დამქირავებლის მიმართ მოთხოვნის უფლებაზე ან ასეთი უფლების გამოყენება შეუძლებელი იქნება დამზღვევის/მოსარგებლის ქმედების (მოქმედების ან უმოქმედობის) გამო,

ჩვენ ვთავისუფლებით სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისგან, ხოლო თუ სადაზღვევო ანაზღაურება უკვე გადახდილია, ჩვენ წარმოგვემოაბა გადახდილი ანაზღაურების უკან მოთხოვნის უფლება.

15. შეტყობინება და კომუნიკაცია

- 15.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე დაზღვევის პირობების გათვალისწინებით, საკომუნიკაციოდ შესაძლოა სადაზღვევო პოლისში მითითებული მისამართის ან/და მობილური ტელეფონის ნომრის გამოყენება, რაც გულისხმობს იმას, რომ ჩვენი მხრიდან დაფიქსირებულ მისამართზე გაგზავნილი წერილი ან მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინება (მათ შორის მოკლე ტექსტური შეტყობინება) ჩაითვლება ჩვენს ოფიციალურ წერილობით შეტყობინებად. შეტყობინების ტელეფონის ნომერზე გაგზავნის შემთხვევაში, ჩვენი მხრიდან შეტყობინების გაგზავნის დღე ჩაითვლება ადრესატისათვის შეტყობინების ჩაბარების დღედ.
- 15.2. ჩვენ შეტყობინებას გამოგიგზავნით სადაზღვევო პოლისში მითითებულ ფაქტობრივ მისამართზე ან მისამართის შეცვლის თაობაზე, ამ პირობებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, ჩვენთვის დაფიქსირებულ ბოლო მისამართზე. ამ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება/კორესპონდენცია ჩაითვლება თქვენი მხრიდან მიღებულად, თუნდაც ადრესატი აღნიშნულ მისამართზე აღარ იმყოფებოდეს ან მისამართი არასწორად/არაზუსტად იყოს მითითებული.

16. დავათა გადაწყვეტა

- 16.1. წინამდებარე პირობებთან და სადაზღვევო პოლისთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოს, რომელიც დავას განიხილავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 16.2. წინამდებარე პირობების უცხოენოვან ვერსიასა და ქართულ ვერსიას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულ ვერსიას.

17. კონფიდენციალობა

- 17.1. მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის ნებისმიერი ფორმით (ზეპირი ან წერილობითი) მიწოდებული ყველა ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად და არ შეიძლება მისი მესამე პირისათვის გადაცემა მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

18. პერსონალური მონაცემების დამუშავება

- 18.1. ჩვენ პერსონალურ მონაცემებს დავამუშავებთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებისა და ზარალის დარეგულირების მიზნებისთვის. ამასთან, **თქვენ** ადასტურებს, რომ **მზღვეველი** უფლებამოსილია ნებისმიერი დაწესებულებიდან გამოითხოვოს **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია. ჩვენ, ასევე უფლებამოსილი ვართ ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებიდან - მათ შორის სს „თიბისი დაზღვევის“ მონათესავე/აფილირებული/საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიისაგან, შსს მომსახურების სააგენტოდან და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან - გამოვითხოვოთ **თქვენი** პერსონალური ინფორმაცია ან/და სხვა საჭირო დოკუმენტაცია **ჩვენთვის** კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მიზნით.
- 18.2. პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება სს თიბისი დაზღვევის „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის“ შესაბამისად, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე www.tbcinsurance.ge. **თქვენ** შეგიძლიათ ისარგებლოთ **თქვენი**, როგორც მონაცემთა სუბიექტის უფლებებით, მათ შორის, მოითხოვოთ წვდომა **თქვენს** მიერ მოწოდებულ მონაცემებზე, ასევე მოგვთხოვოთ **ჩვენ** გავასწოროთ, განვაახლოთ, დავამატოთ, დავბლოკოთ, წავშალოთ ან გავანადგუროთ **თქვენი** მონაცემები, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 18.3. **თქვენ** გვანიჭებთ უფლებამოსილებას, რომ სადაზღვევო მომსახურების შეთავაზების ან/და ხარისხის ან/და დაზღვევასთან დაკავშირებული კვლევების მიზნით დავამუშაოთ, მათ შორის, პარტნიორი

ორგანიზაციებისთვის ხელმისაწვდომი გავხადოთ **თქვენი**/მოსარგებლის პერსონალური მონაცემები.

- 18.4. **თქვენ** გვანიჭებთ უფლებამოსილებას, რომ დამზღვევთან სადაზღვევო ურთიერთობების შესახებ ინფორმაცია (მოქმედების ვადა, სტატუსი, სადაზღვევო პრემია და სხვა) დავამუშაოთ და მათ შორის ხელმისაწვდომი გავხადოთ **ჩვენი** აგენტ(ებ)ისათვის ან/და პარტნიორი ორგანიზაციებისათვის, რომელსაც/რომლებსაც ამგვარ ინფორმაციაზე წვდომა ესაჭიროებათ მათი უფლება-მოვალეობებისა და **ჩვენი** მხრიდან შესაბამისი სახელშეკრულებო ან საკანონმდებლო ვალდებულებების შესასრულებლად.

დანართი 1

საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ავეჯის ჩამონათვალი

ობიექტის დასახელება	ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი
ტელევიზორი	1 500 ლარი
სამეული ავეჯი	3 000 ლარი
კომპიუტერი, სათამაშო კონსოლი	1 500 ლარი
კედლის კარადა	1 500 ლარი
მაგიდა	1 000 ლარი
დივანი	1 000 ლარი
წიგნების თაროები	800 ლარი
სამზარეულოს კარადა	2 500 ლარი
გაზქურა/ გამწოვი	2 000 ლარი
ჭურჭლის სარეცხი მანქანა	1 500 ლარი
მაცივარი	1 500 ლარი
სარკე	1 000 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარი
აუდიო ტექნიკა	1 500 ლარი
ფოტოაპარატი	1 500 ლარი
ლექტობი	1 500 ლარი
საძინებლის კარადა	1 500 ლარი
საძინებლის საწოლი	1 500 ლარი
კომბო	800 ლარი
სარეცხი მანქანა	1 000 ლარი
საშხაპე	1 000 ლარი
აბაზანის სხვა ინვენტარი	2 000 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარი
ჭალები და განათების სისტემები	1 500 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარი
ხალიჩები და ფარდები	2 000 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 500 ლარი
მიქსერები/ ბლენდერები/ მიკროტალღური ღუმელები	1 000 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 800 ლარი
ელექტრო ხორცსაკები მანქანები/ ყავის აპარატები	1 000 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 800 ლარი
სკამები	1 000 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 300 ლარი
გათბობის მოწყობილობები (ქვაბი და რადიატორები) (აღნიშნულზე არ ვრცელდება აივნისთვის გათვალისწინებული გამონაკლისები)	1 000 ლარი, მაგრამ ერთ ერთეულზე არაუმეტეს 800 ლარი
კონდიციონერი	1 500 ლარი
უთო /თმის საშრობი	500 ლარი
მტვერსასრუტი	500 ლარი